საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№360 2015 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^{1} მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის შემდგომი განვითარებისა და ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით, ჯანდაცვის პოლიტიკის სისტემური რეფორმის მოსამზადებლად, საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
„09" № 21433
03 2015 წ.
2 ფურცელი

სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 35 03 04).

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წინადადებების საფუძველზე, შეიტანოს ცვლილებები სამინისტროსათვის დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი